

დანართი №1

ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

<p>ევროკავშირის სამართლებრივი აქტი</p> <p>1991 წლის 21 მაისის საბჭოს 91/271/EEC დირექტივა ურბანული ჩამდინარე წყლის გაწმენდის შესახებ</p>		<p>საქართველოს ნორმატიული აქტის / აქტების პროექტი / პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი / აქტები , არსებობის შემთხვევაში:</p> <p>№1. „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი</p> <p>შესაბამისობა:</p> <p>სშ – სრულად შესაბამისი          ნშ – ნაწილობრივ შესაბამისი          შ – შეუსაბამო          ას – არასავალდებულო</p>				
1	2	3	4	5	6	7
მუხლი ან ნაწილი	ნორმის ტექსტი	№	მუხლი ან პუნქტი (ნაწილი)	ნორმის ტექსტი	შესაბამისობა	შენიშვნები
1	<p>ეს დირექტივა ეხება ურბანული ჩამდინარე წყლების შეგროვებას, გაწმენდასა და ჩაშვებას და ჩამდინარე წყლების გაწმენდასა და ჩაშვებას კონკრეტული სამრეწველო სექტორებიდან.</p> <p>ამ დირექტივის მიზანს წარმოადგენს გარემოს დაცვა ზემოთ ხსენებული ჩამდინარე წყლების ჩაშვებისგან გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედებისაგან.</p>				ას	<p>„ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმების დანართი XXVI (გარემოს დაცვა)</p>

					<p>ითვალისწინებს საქართველო ვალდებულებას განსაზღვრულ ვადებში მოახდინოს 1991 წლის 21 მაისის საბჭოს 91/271/EEC დირექტივასთან ურბანული ჩამდინარე წყლის გაწმენდის შესახებ, დაახლოება 98/15/EC დირექტივითა და N 1882/2003 რეგულაციით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად. კერძოდ: ურბანული ჩამდინარე წყლის შეგროვებისა და გაწმენდის მდგომარეობის შეფასება; სენსიტიური არელებისა და აგლომერაციების იდენტიფიცირება (მუხლი 5 და დანართი II); ტექნიკური და საინვესტიციო პროგრამების მომზადება</p>
--	--	--	--	--	---

					<p>ურბანული ჩამდინარე წყლის შეგროვებისა და გაწმენდისათვის.</p> <p>სავალდებულო მუხლებიდან გამომდინარე სავალდებულოა დანართი I და დანართი II</p>	
2	ამ დირექტივის მიზნებისათვის:				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა
2.1	"ურბანული ჩამდინარე წყალი" ნიშნავს: საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყალს ან საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლისა და სამრეწველო ჩამდინარე წყლის ნარევეს და/ან სანიაღვრე წყალს;					
2.2	„საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყალი“ ნიშნავს ჩამდინარე წყალს საცხოვრებელი დასახლებებიდან და მომსახურების ადგილებიდან, რომელიც უმეტესწილად მიიღება ადამიანის მეტაბოლიზმისა და საკარმიდამო საქმიანობის შედეგად;					
2.3	"სამრეწველო ჩამდინარე წყალი" ნიშნავს ნებისმიერ ჩამდინარე წყალს, რომელიც ჩაიშვება ნაგებობიდან, რომელიც გამოიყენება ნებისმიერი სავაჭრო ან სამრეწველო მიზნით,					

	და არ წარმოადგენს საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყალს და ჩამდინარე წვიმის წყალს				
2.4	"აგლომერაცია" ნიშნავს ტერიტორიულ არეალს, სადაც საკმარისად არის კონცენტრირებული (თავმოყრილი) მოსახლეობა და/ან ეკონომიკური საქმიანობები და სადაც ადგილი აქვს ურბანული ჩამდინარე წყლების შეგროვებას და ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობაში გადაცემას ან საბოლოო განთავსების ადგილში ჩაშვებას;				
2.5	"შემკრები სისტემა" ნიშნავს წყალსადენი მილების სისტემას, რომელიც აგროვებს და ატარებს ურბანულ ჩამდინარე წყლებს;				
2.6	"1 კ.ე. (მოსახლეობის ექვივალენტი)" ნიშნავს ორგანულ ბიოდაშლად ტვირთს, რომელსაც გააჩნია დღეში ჟანგბადის 60 გრამის ხუთ დღიანი ჟანგბადის ბიოქიმიური მოთხოვნა (BOD5);				
2.7	"პირველადი გაწმენდა" ნიშნავს ურბანული ჩამდინარე წყლის გაწმენდას ფიზიკური და/ან ქიმიური პროცესის დახმარებით, რომელიც მიმდინარეობს შეწონილი ნაწილაკების დალექვის გზით, ან სხვა პროცესის მეშვეობით, რომლის დროსაც შემომავალი ჩამდინარე წყლის BOD5 ჩაშვებამდე სულ ცოტა 20%-ით და შემომავალი ჩამდინარე წყლის სრული შეწონილი ნაწილაკები სულ ცოტა 50%-ით მცირდება;				

2.8	<p>"მეორადი გაწმენდა" ნიშნავს ურბანული ჩამდინარე წყლების გაწმენდას იმ პროცესის საშუალებით, რომელიც ზოგადად გამოიყენებს ბიოლოგიურ გაწმენდას მეორადი დალექვით ან სხვა პროცესის მეშვეობით, რომლის დროსაც სრულდება I დანართის 1 ცხრილში დადგენილი მოთხოვნები;</p>					
2.9	<p>"შესაბამისი გაწმენდა" ნიშნავს ურბანული ჩამდინარე წყლების გაწმენდას ნებისმიერი პროცესის გამოყენებით და/ან განთავსების სისტემით, რომელიც ჩაშვების შემდეგ იძლევა იმის საშუალებას, რომ მიღებული წყლები პასუხობდნენ შესაბამისი ხარისხის დადგენილ მაჩვენებლებს და ამ დირექტივის დებულებებსა და გაერთიანების სხვა დირექტივებს;</p>					
2.10	<p>"ნალექი" ნიშნავს ჩამდინარე წყლების ნალექს ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობებიდან, გაწმენდილს ან გაუწმენდავს;</p>					
2.11	<p>"ეუთროფიკაცია" ნიშნავს წყლის გამდიდრებას ნუტრიენტებით, განსაკუთრებით აზოტისა და/ან ფოსფორის შენაერთებით, რომელიც იწვევს ზღვის წყალმცენარეებისა და მცენარეული საფარის უფრო მაღალი ფორმების დაჩქარებულ ზრდას, რაც არასასურველად არღვევს წყალში არსებული ორგანიზმების ბალანსს და წყლის ხარისხს;</p>					

2.12	<p>"ესტუარი" ნიშნავს გარდამავალ არეალს მდინარის შესართავთან, მდინარის მტკნარ წყალსა და სანაპირო წყლებს შორის. ამ დირექტივის მიზნებისათვის, რომელიც მე-17 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების დებულებების თანახმად განსახორციელებელი პროგრამის ნაწილს წარმოადგენს, წევრმა ქვეყნებმა უნდა დაადგინონ ესტუარის გარე (ზღვის მიმართულებით) საზღვრები;</p>					
2.13	<p>"სანაპირო წყლები" ნიშნავს წყლებს დაბალი უკუქცევის ხაზის გარეთ (მიღმა) ან ესტუარის გარეთა ზღვრამდე.</p>					
3.1	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა აგლომერაცია უზრუნველყოფილი იყოს ურბანული ჩამდინარე წყლების შემგროვებელი სისტემებით,</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- არაუგვიანეს 2000 წლის 31 დეკემბრისა, იმ აგლომერაციებისათვის, რომელთა მოსახლეობს ექვივალენტი (პ.ე.) 15 000 აღემატება, და</li> <li>- არაუგვიანეს 2005 წლის 31 დეკემბრისა, იმ აგლომერაციებისათვის, რომელთა მოსახლეობის ექვივალენტი (პ.ე.) 2000-სა და 15000 შორის მერყეობს.</li> </ul> <p>ურბანული ჩამდინარე წყლების ჩაშვებისათვის მიმღებ წყლებში, რომლებიც მიჩნეულნი არიან მგრძნობიარე არეალებად", როგორც ეს</p>				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა

3.1a	<p>განსაზღვრულია მე-5 მუხლში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ის, რომ შემგროვებელი სისტემები, არაუგვიანეს 1998 წლის 31 დეკემბრისა, უზრუნველყოფილი იყოს აგლომერაციებისათვის 10 000-ზე მეტი პ.ე.-თი.</p> <p>სადაც შემგროვებელი სისტემის დამონტაჟება არ არის გამართლებული იმის გამო, რომ ის ვერავითარ გარემოსდაცვით სარგებელს ვერ მოიტანს, ან იმის გამო, რომ გამოიწვევს დიდ ხარჯებს (დიდ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული), უნდა გამოყენებულ იქნას ინდივიდუალური სისტემები ან სხვა შესატყვისი სისტემები, რომელთა გამოყენებით გარემოს დაცვის იმავე დონე მიიღწევა.</p> <p>ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისგან გამონაკლისის სახით რეგიონ Mayotte-სთან დაკავშირებით, როგორც უკიდურესად დაშორებული რეგიონი „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ“ შეთანხმების 349-ე მუხლის მიზნებისთვის. საფრანგეთმა უნდა უზრუნველყოს რომ ყველა აგლომერაცია უზრუნველყოფილი იყოს ურბანული ჩამდინარე წყლების შემგროვებელი სისტემებით,</p> <p>- არაუგვიანეს 2020 წლის 31 დეკემბრისა იმ აგლომერაციებისთვის, რომელთა მოსახლეობის ექვივალენტი აღემატება 10 000</p>				
------	--	--	--	--	--

3.2	<p>პ.ე., რომელიც ფარავს რეგიონი მაუოტეე-ში თავმოყრილი მოსახლეობის დატვირთვის 70%;</p> <p>- არაუგვიანეს 2027 წლის 31 დეკემბრისა იმ აგლომერაციებისთვის, რომელთა მოსახლეობის ექვივალენტი აღემატება 2000 პ.ე.</p> <p>შემგროვებელი სისტემები, რომლებიც აღწერილია პირველ პუნქტში უნდა აკმაყოფილებდნენ I დანართის A ნაწილის მოთხოვნებს. კომისიამ შეიძლება შეცვალოს ეს მოთხოვნები. ის ზომები, რომელთა მიზანია არაარსებითი ცვლილებების შეტანა ამ დირექტივაში შეიძლება შესწორდეს იმ პროცედურის თანახმად, რომელიც დადგენილია მე-18 მუხლის მე-3 პუნქტში.</p>					
4.1	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შემგროვებელ სისტემებში შემავალმა ურბანულმა ჩამდინარემა წყლებმა ჩაშვებამდე გაიარონ მეორადი გაწმენდა ან ასეთი გაწმენდის ექვივალენტური გაწმენდა, როგორც ეს ქვემოთ არის ნაჩვენები:</p> <p>- ყველა ჩაშვებისათვის არაუგვიანეს 2000 წლის 31 დეკემბრისა 15 000 პ.ე.-ზე მეტი აგლომერაციებიდან,</p> <p>- ყველა ჩაშვებისათვის არაუგვიანეს 2005 წლის 31 დეკემბრისა 10 000 და 15 000 შორის პ.ე. აგლომერაციებიდან,</p> <p>- ყველა ჩაშვებისათვის სასმელ წყლებში და ესტუარებში არაუგვიანეს 2005 წლის 31</p>				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა

4.1a	<p>დეკემბრისა 2 000 და 10 000 შორის პ.ე. აგლომერაციებიდან.</p> <p>ამ მუხლის პირველი პუნქტიდან გამონაკლისის სახით რეგიონ Mayotte-სთან დაკავშირებით საფრანგეთმა უნდა უზრუნველყოს რომ ურბანული ჩამდინარე წყლები, რომლებიც ჩაედინება შემგროვებელ სისტემებში, გაშვებამდე დაექვემდებაროს განმეორებით დამუშავებას ან ექვივალენტურ დამუშავებას:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- არაუგვიანეს 2020 წლის 31 დეკემბრისა იმ აგლომერაციებისთვის რომელთა მოსახლეობის ექვივალენტი აღემატება 15 000, რომელიც მე-5 მუხლის (2a) ქვეპუნქტში მოცემული აგლომერაციების პარალელურად ფარავს რეგიონი Maუოტეე-ში თავმოყრილი მოსახლეობის დატვირთვის 70%;</li> <li>- არაუგვიანეს 2027 წლის 31 დეკემბრისა იმ აგლომერაციებისთვის, რომელთა მოსახლეობის ექვივალენტი აღემატება 2000 პ.ე.</li> </ul>				
4.2	<p>ურბანული ჩამდინარე წყლების ჩაშვება მაღალმთიანი რაიონების წყლებში (1 500 მეტრზე მაღლა ზღვის დონიდან), სადაც დაბალი ტემპერატურის გამო რთულია ეფექტური ბიოლოგიური გაწმენდის გამოყენება, უნდა დაექვემდებაროს ნაკლებად მკაცრ გაწმენდას, ვიდრე ეს დადგენილია</p>				

4.3	<p>პირველ პუნქტში, მხოლოდ იმ პირობით თუ დეტალური გამოკვლევები აჩვენებს, რომ ასეთი ჩაშვება გარემოზე უარყოფითად არ მოქმედებს.</p> <p>ურბანული ჩამდინარე წყლების ჩაშვებები გამწმენდი დანადგარებიდან, რომელიც აღწერილია პირველ და მე-2 პუნქტებში, უნდა აკმაყოფილებდეს I დანათის B ნაწილის შესაბამის მოთხოვნებს. კომისიას შეუძლია შეცვალოს ეს მოთხოვნები. ის ზომები, რომელთა მიზანია არაარსებითი ცვლილებების შეტანა ამ დირექტივაში შეიძლება შესწორდეს მე- 18 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი პროცედურის თანახმად.</p>				
4.4	<p>დატვირთვა, რომელიც გამოხატულია პ.ე.-თ უნდა დაანგარიშდეს იმ მაქსიმალური საშუალო ყოველკვირეული გამავალი დატვირთვის საფუძველზე, რომელიც წლის განმავლობაში შედის გამწმენდ დანადგარში, იმ განსაკუთრებული სიტუაციების გამოკლებით, რომელსაც წარმოადგენს დატვირთვა განსაკუთრებულად წყალუხვი წვიმების დროს</p>				
5.1	<p>მე-2 პუნქტის განხორციელების მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა 1993 წლის 31 დეკემბრისათვის უნდა დაადგინონ "მგრძობიარე არეალები" იმ კრიტერიუმების თანახმად, რომლებიც მოცემულია II დანართში.</p>	N1	30.1	<p>ურბანული ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვების ნორმები და ურბანული ჩამდინარე წყლებით ზემოქმედების რისკის ქვეშ მყოფი სენსიტიური არეალების განსაზღვრის კრიტერიუმები განისაზღვრება ტექნიკური</p>	<p>ნშ</p> <p>ასოცირების შეთანხმების XXVI დანართის თანახმად, აღნიშნულ მუხლთან დაახლოვების ვადა არის 2021 წელი</p>

				<p>რეგლამენტით „ზედაპირული წყლის ობიექტებში ურბანული და სამრეწველო ჩამდინარე წყლების ჩაშვების პირობები“.</p> <p>1. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს შემდეგი სამართლებრივი აქტების მიღება:  ა) 2023 წლის 31 დეკემბრამდე:  ა.კ) ტექნიკური რეგლამენტი „ზედაპირული წყლის ობიექტებში ურბანული და სამრეწველო ჩამდინარე წყლების ჩაშვების პირობები“;</p>		<p>მაგრამ ვინაიდან აღნიშნული სამართლებრივი აქტის მიღების ვალდებულება განსაზღვრულია კანონპროექტით „წყლის რესურსების მართვის შესახებ“. შესაბამისად, „ზედაპირული წყლის ობიექტებში ურბანული და სამრეწველო ჩამდინარე წყლების ჩაშვების პირობები“; მიღებული იქნება კანონის მიღების შემდგომ, 2023 წლის 31 დეკემბრამდე.</p>
5.2	<p>არაუგვიანეს 1998 წლის 31 დეკემბრისა, ყველა ჩაშვებისათვის აგლომერაციებიდან, რომელთა პ.ე. 10 000-ზე მეტია, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ურბანული ჩამდინარე წყლები, რომლებიც ჩაიშვება შემგროვებელ სისტემებში მგრძობიარე არეალებში, ჩაშვებამდე უნდა დაექვემდებაროს უფრო მკაცრ გაწმენდას, ვიდრე ეს აღწერილია მე-4 მუხლში.</p>				ას	<p>მოთხოვნა შინაარსიდან გამომდინარე არარელევანტურია</p>
5.2a	<p>ამ მუხლის მე-2 პუნქტისგან გამონაკლისის სახით Mayotee-სთან დაკავშირებით საფრანგეთმა უნდა უზრუნველყოს რომ ურბანული ჩამდინარე წყლები, რომლებიც</p>				ას	<p>შინაარსიდან გამომდინარე მოთხოვნა არის არარელევანტური</p>

	ჩაედინება შემგროვებელ სისტემებში, მგრძობიარე არეალებში გაშვებამდე დაექვემდებაროს უფრო მკაცრ დამუშავებას ვიდრე ეს აღწერილია მე-4 მუხლში არაუგვიანეს 2020 წლის 31 დეკემბრისთვის იმ აგლომერაციებისთვის რომელთა მოსახლეობის ექვივალენტი აღემატება 10 000 პ.ე., რომელიც მე-4 მუხლის 1a პუნქტში მოცემული აგლომერაციების პარალელურად ფარავს რეგიონი Mauotee-ში თავმოყრილი მოსახლეობის დატვირთვის 70%;					
5.3	ჩაშვებები ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი დანადგარებიდან, რომელიც აღწერილია მე-2 პუნქტში, უნდა აკმაყოფილებდეს I დანართის B ნაწილის შესაბამის მოთხოვნებს. კომისიას შეუძლია შეცვალოს ეს მოთხოვნები. ის ზომები, რომელთა მიზანია არაარსებითი ცვლილებების შეტანა ამ დირექტივაში შესიძლება შესწორდეს მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი პროცედურის თანახმად.	N1	30.1	ურბანული ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვების ნორმები და ურბანული ჩამდინარე წყლებით ზემოქმედების რისკის ქვეშ მყოფი სენსიტიური არეალების განსაზღვრის კრიტერიუმები განისაზღვრება ტექნიკური რეგლამენტით „ზედაპირული წყლის ობიექტებში ურბანული და სამრეწველო ჩამდინარე წყლების ჩაშვების პირობები“.	ნშ	ასოცირების შეთანხმების XXVI დანართის თანახმად, აღნიშნულ მუხლთან დაახლოვების ვადა არის 2021 წელი მაგრამ ვინაიდან აღნიშნული სამართლებრივი აქტის მიღების ვალდებულება განსაზღვრულია კანონპროექტით „წყლის რესურსების მართვის შესახებ“. შესაბამისად, „ზედაპირული წყლის ობიექტებში ურბანული და სამრეწველო ჩამდინარე წყლების ჩაშვების პირობები“; მიღებულ
5.4	ალტერნატიულად მოთხოვნები ცალკეული დანადგარებისათვის, რომლებიც დადგენილია მე-2 და მე-3 პუნქტებში, არ საჭიროებს გამოყენებას მგრძობიარე არეალებში, იმ შემთხვევაში როდესაც ცხადი იქნება, რომ ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობებში შემავალ მთელ ტვირთში სრული ფოსფორის და სრული აზოტის შემცველობის მინიმალური პროცენტული შემცირება თითოეულისათვის სულ ცოტა 75% შეადგენს	N1	37.1. ა.კ	1. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს შემდეგი სამართლებრივი აქტების მიღება:  ა) 2023 წლის 31 დეკემბრამდე:  ა.კ) ტექნიკური რეგლამენტი „ზედაპირული წყლის ობიექტებში ურბანული და სამრეწველო ჩამდინარე წყლების ჩაშვების პირობები“;		

5.5	<p>ჩაშვებები ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობებიდან, რომლებიც განლაგებულია მგრძობიარე არელების შესაბამის წყალშემკრებ ტერიტორიებზე და რომლებიც იწვევენ ამ არელების დაბინძურებას, უნდა დაექვემდებაროს მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებს.</p> <p>იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული წყალშემკრები ტერიტორია სრულად ან ნაწილობრივ მდებარეობს სხვა წვერი ქვეყნის ტერიტორიაზე, უნდა გამოყენებულ იქნას მე-9 მუხლი.</p>				<p>ი იქნება კანონის მიღების შემდგომ, 2023 წლის 31 დეკემბრამდე.</p>
5.6	<p>წვერმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ის, რომ მგრძობიარე არელების იდენტიფიკაცია ხდებოდეს სტაბილური ინტერვალებით, არაუგვიანეს ყოველი ოთხი წლისა.</p>				
5.7	<p>წვერმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არელებში, რომლებიც მე-6 პუნქტის შესაბამისად ყოველი გადასინჯვის შემდეგ განსაზღვრულია მგრძობიარე არელებად, შვიდი წლის გასვლამდე უნდა დაიწყოს ზემოთ მოყვანილი მოთხოვნების შესრულება.</p>				
5.8	<p>თუ წვერი ქვეყანა მთელ თავის ტერიტორიაზე ანხორციელებს შეთანხმებას, რომელიც დადგენილია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით, არ</p>				

	არის ვალდებული განსაზღვროს მგრძობიარე არეალები ამ დირექტივის მიზნებისათვის.				
6.1	მე-2 პუნქტის მიზნებისათვის წევრმა სახელმწიფოებმა 1993 წლის 31 დეკემბრისათვის შეიძლება განსაზღვრონ ნაკლებად მგრძობიარე არეალები II დანართში მოცემული კრიტერიუმების შესაბამისად.				ას
6.2	<p>ურბანული ჩამდინარე წყლების ჩაშვებები სანაპირო წყლებში იმ აგლომერაციებიდან, სადაც მოსახლეობის ექვივალენტი 10 000 და 150 000 პ.ე. შორის მერყეობს და ჩაშვებები პირველ პუნქტში აღწერილ არეალებში მდებარე ესტუარებში იმ აგლომერაციებიდან, სადაც მოსახლეობის ექვივალენტი 2 000 და 10 000 პ.ე. შორის მერყეობს, შესაძლოა წარმოადგენდეს უფრო ნაკლებად მკაცრი გაწმენდის საგანს, ვიდრე ეს აღწერილია მე-4 მუხლში, იმ პირობით თუ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ასეთი ჩაშვებები განიცდიან სულ ცოტა პირველად გაწმენდას მაინც, როგორც ეს დადგენილია მე-2 მუხლის მე-7 პუნქტში, I დანართის D ნაწილში დადგენილი კონტროლის პროცედურების თანახმად,</li> <li>- ყოველმხრივი გამოკვლევები მიუთითებენ იმაზე, რომ ასეთი ჩამდინარე წყლები უარყოფითად არ იმოქმედებენ გარემოზე.</li> </ul>				იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა

6.3	<p>წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას უნდა მიაწოდონ ყველა შესაბამისი ინფორმაცია ზემოთ აღნიშნული გამოკვლევების შესახებ.</p>				
6.4	<p>თუ კომისია ჩათვლის, რომ მე-2 პუნქტში მოცემული პირობები არ სრულდება, მან საბჭოს უნდა წარუდგინოს სათანადო წინადადება.</p>				
6.5	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ნაკლებად მგრძობიარე ზონების განსაზღვრის გადასინჯვა არაუგვიანეს ყოველი ოთხი წლისა.</p> <p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არეალები, რომლებიც აღარ ითვლება მგრძობიარედ, შვიდი წლის განმავლობაში სათანადოდ პასუხობდნენ მე-4 და მე-5 მუხლების მოთხოვნებს.</p>				
7	<p>წევრმა სახელმწიფოებმა 2005 წლის 31 დეკემბრისათვის უნდა უზრუნველყონ, რომ ურბანული ჩამდინარე წყლები, რომლებიც შედიან შემგროვებელ სისტემებში, ჩაშვებამდე სათანადოდ გაიწმინდოს, როგორც ეს დადგენილია მე-2 მუხლის მე-9 პუნქტში, შემდეგ შემთხვევებში</p> <p>- მტკნარ წყალსა და ესტუარებში ჩაშვების შემთხვევაში 2 000 პ.ე. ნაკლები აგლომერაციებისათვის,</p>				<p>ას</p> <p>იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა</p>

	<p>- სანაპირო წყლებში ჩაშვებებისათვის აგლომერაციებისათვის 10 000 ნაკლები პ.ე.-ით.</p> <p>პირველი პუნქტისგან გამონაკლისის სახით რეგიონ Mayotte-სთან მიმართებით მაქსიმალურ ვადად განისაზღვროს 2027 წლის 31 სექტემბერი.</p>					
8.1	წევრ სახელმწიფოებს, იმ გამონაკლის შემთხვევებში, რომლებიც დაკავშირებულია ტექნიკურ პრობლემებთან და მოსახლეობის გეოგრაფიულად განსაზღვრულ ჯგუფებთან, შეუძლიათ კომისიას წარუდგინონ სპეციალური თხოვნა, რომ მიეცეთ უფრო ხანგრძლივი დრო მე-4 მუხლის შესრულების დასაწყებად.				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა
8.2	ეს თხოვნა, რომელიც სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული, ნათლად უნდა ასახავდეს არსებულ ტექნიკურ სირთულეებს და უნდა წარმოადგინოს სამოქმედო პროგრამა თავისი სათანადო განრიგით, რომელიც საჭირო იქნება ამ დირექტივის მიზნების შესასრულებლად. ეს განრიგი უნდა შედიოდეს იმ განსახორციელებელ პროგრამაში, რომელიც განხილულია მე-17 მუხლში.					
8.3	მხოლოდ ტექნიკური მიზეზები შეიძლება იქნეს მიღებული, ხოლო უფრო ხანგრძლივი დრო, რომელზეც საუბარია პირველ პუნქტში, არ უნდა გადასცილდეს 2005 წლის 31 დეკემბერს.					

8.4	<p>კომისიამ უნდა შეამოწმოს ეს თხოვნა და მიიღოს სათანადო ზომები მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი პროცედურის თანახმად.</p>					
8.5	<p>იმ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც შესაძლებელია იმის დემონსტრირება, რომ უფრო თანამედროვე გაწმენდა ვერ მოიტანს დამატებით სარგებელს გარემოსათვის, ჩამდინარე წყლების ჩაშვებები ნაკლებად მგრძობიარე არეალებში ისეთი აგლომერაციებიდან, სადაც მოსახლეობის ექვივალენტი 150 000 კ.ე. აღემატება, შეიძლება დაექვემდებაროს იმ გაწმენდას, რომელიც აღწერილია მე-6 მუხლში ჩამდინარე წყლებისათვის აგლომერაციებიდან, რომელთა მოსახლეობის ექვივალენტი 10 000 და 150 000 კ.ე. შორის მერყეობს.</p> <p>ასეთ შემთხვევებში, წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას წინასწარ უნდა წარუდგინოს სათანადო დოკუმენტაცია. კომისია შეამოწმებს შემთხვევას და მიიღებს სათანადო ზომებს მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი პროცედურის შესაბამისად.</p>				ას	<p>იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა</p>
9	<p>იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი წევრი-ქვეყნის იურისდიქციაში მყოფი არეალის წყლები უარყოფით ზემოქმედებას განიცდის სხვა წევრი-ქვეყნის ურბანული ჩამდინარე წყლების მიერ, წევრ ქვეყანას, რომლის წყლებიც უარყოფით ზემოქმედებას განიცდის, შეუძლია მეორე წევრ ქვეყანას და კომისიას შეატყობინოს სათანადო ფაქტების შესახებ.</p>					

	დაინტერესებულმა წევრმა სახელმწიფოებმა (წევრმა სახელმწიფოებმა, რომლებსაც ეს ეხებათ), სადაც ეს შესაბამისია კომისიასთან ერთად, ორგანიზება უნდა გაუკეთონ შეთანხმებულ ქმედებებს, რაც აუცილებელია მოცემული ჩაშვებებისა და იმ ღონისძიებებს დადგენისათვის, რომელთა განხორციელება აუცილებელია უშუალოდ წყაროსთან არსებული ზეგავლენის მქონე წყლების დასაცავად იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ამ დირექტივის დებულებების შესრულება.				
10	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ იმ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები (დანადგარები), რომლებიც დამონტაჟებულია მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 მუხლებში აღწერილი მოთხოვნების შესრულების მიზნით, უნდა იყოს დაგეგმილი, აშენებული, ოპერირებული და მოვლილი ისე, რომ ნებისმიერ ნორმალურ ადგილობრივ კლიმატურ პირობებში უზრუნველყოფდეს მოთხოვნათა შესრულებას. ნაგებობების დაპროექტების დროს მხედველობაში უნდა იყოს მიღებული დატვირთვის სეზონური ცვალებადობები.				ას იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა
11.1	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ 1993 წლის 31 დეკემბრამდე სამრეწველო ჩამდინარე წყლების ჩაშვებები შემგროვებელ სისტემებში და ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები ექვემდებარებოდნენ უფრო მნიშვნელოვან მარეგულირებელ წესებს და/ან კომპეტენტური ხელისუფლების ან სათანადო ორგანოს გაცემულ ნებართვას.				ას იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა

11.2	მარეგულირებელი წესები და სპეციალური ავტორიზაციები უნდა აკმაყოფილებდნენ I დანართის C ნაწილის მოთხოვნებს. კომისიას შეუძლია შეცვალოს ეს მოთხოვნები. ის ზომები, რომელთა მიზანია არაარსებითი ცვლილებების შეტანა ამ დირექტივაში შეიძლება შესწორდეს მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი პროცედურის თანახმად.					
11.3	მარეგულირებელი წესები და სპეციალური სანქციები უნდა იქნეს გადასინჯული და თუ საჭიროა (აუცილებლობის შემთხვევაში) ადაპტირებული რეგულარული ინტერვალებით.					
12.1	გაწმენდილი წყალი შესაბამის დროს ხელახლა უნდა იქნეს გამოყენებული. განთავსების მარშრუტი ისეთი უნდა იყოს, რომ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე.				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა
12.2	კომპეტენტურმა ხელისუფლებამ ან შესაბამისმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ჩამდინარე წყლების ჩაშვება ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობებიდან ექვემდებარებოდნენ უფრო მნიშვნელოვან მარეგულირებელ წესებს და/ან სპეციალურ ნებართვებს.					
12.3	მნიშვნელოვანი მარეგულირებელი წესები და/ან სპეციალური სანქციები ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობებიდან ჩაშვებების თაობაზე მტკნარ წყალში ან					

12.4	<p>ესტუარში ჩაშვების შემთხვევაში, რომლებიც დადგენილია მე-2 პუნქტის თანახმად იმ აგლომერაციებისათვის, რომელთა 2 000 და 10 000 პ.ე. შორის მერყეობს და ყველანაირი ჩაშვების შემთხვევაში აგლომერაციებისათვის, რომელთა 10 000 პ.ე. ტოლი ან მასზე მეტია, უნდა შეიცავდნენ პირობებს, რომლებიც დააკმაყოფილებენ I დანართის B ნაწილში მოცემულ შესაბამის მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები შეიძლება შესწორდეს მე-18 მუხლის მე-3 პუნქტში დადგენილი პროცედურის შესაბამისად.</p> <p>მარეგულირებელი წესები და/ან ნებართვები უნდა გადაისინჯოს და, საჭიროების შემთხვევაში, გადაკეთდეს რეგულარული ინტერვალებით.</p>					
13.1	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ 2000 წლის 31 დეკემბრისათვის ბიოდეგრადირებადი სამრეწველო ჩამდინარე წყლები ქარხნიდან, რომლებიც მრეწველობის იმ სექტორში საქმიანობენ, რომელიც შეტანილია III დანართის ჩამონათვალში და რომლებიც მიმღებ წყლებში ჩაშვებამდე არ გაივლიან ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობებს, ჩაშვებამდე, უნდა აკმაყოფილებდნენ იმ პირობებს, რომლებიც დადგენილია წინასწარი კომპეტენტური ან შესაბამისი ორგანოს მიერ შემუშავებული მარეგულირებელი წესებითა და/ან სპეციალური სანქციებით ყველა სახის ჩაშვებებისათვის ქარხნიდან, რომელთა 4 000 პ.ე. ან მეტს უდრის.</p>				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა

13.2	<p>1993 წლის 31 დეკემბრისათვის კომპეტენტურმა ან შესაბამისმა ორგანომ თითოეულ წევრ ქვეყანაში უნდა დაადგინოს, სამრეწველო სექტორის ხასიათიდან გამომდინარე, შესაბამისი მოთხოვნები ასეთი ჩამდინარე წყლების ჩაშვებებისათვის.</p>					
13.3	<p>კომისიამ 1994 წლის 31 დეკემბრისათვის უნდა მოახდინოს წევრი სახელმწიფოების მოთხოვნების შედარება. მან უნდა გამოაქვეყნოს შედეგების მოხსენებითი ანგარიში და აუცილებლობის შემთხვევაში, წამოაყენოს შესაბამისი წინადადება.</p>					
14.1	<p>ჩამდინარე წყლების გაწმენდისას წარმოშობილი ნალექი სათანადო დროს ხელახლა უნდა იქნეს გამოყენებული. განთავსების მარშრუტებმა მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება.</p>				ას	<p>იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა</p>
14.2	<p>კომპეტენტურმა ან შესაბამისმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ 1998 წლის 31 დეკემბრისათვის ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობებიდან მიღებული ნალექის განთავსება ექვემდებარეოდეს საერთო წესებს ან რეგისტრაციას, ან სანქციებს.</p>					
14.3	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ 1998 წლის 31 დეკემბრისათვის ხმარებიდან იყოს ამოღებული ნალექის</p>					

14.4	<p>განთავსება ზედაპირულ წყლებში გემებიდან დამფინგის გზით, მილსადენებიდან ჩაშვების გზით ან სხვა საშუალებებით.</p> <p>განთავსების იმ ფორმების გაუქმებამდე, რომლებიც ნახსენებია მე-3 პუნქტში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ნალექში არსებული ტოქსიკური, მდგრადი ან ბიოაკუმულირებადი მასალების მთელი რაოდენობის განთავსება ზედაპირულ წყლებში ლიცენზირებული იყოს განთავსებისათვის და პროგრესულად მცირდებოდეს.</p>					
15.1	<p>კომპეტენტურმა ან შესაბამისმა ორგანოებმა უნდა განახორციელონ შემდეგი სახის მონიტორინგი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ჩაშვებები ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობებიდან იმ მიზნით, რომ მოწმდებოდეს I დანართის B ნაწილის მოთხოვნების შესრულება I დანართში D ნაწილით დადგენილი საკონტროლო პროცედურების შესაბამისად,</li> <li>- ზედაპირულ წყლებში განთავსებული ნალექის რაოდენობა და შემადგენლობა.</li> </ul>				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა
15.2	<p>კომპეტენტურმა ან შესაბამისმა ორგანოებმა უნდა განახორციელონ იმ წყლების მონიტორინგი, რომლებშიც გამწმენდი ნაგებობებიდან ურბანული ჩამდინარე წყლების ჩაშვება წარმოებს, ასევე პირდაპირი</p>					

	<p>ჩაშვებების მონიტორინგი, როგორც ეს აღწერილია მე-13 მუხლში, იმ შემთხვევებში, როდესაც მოსალოდნელია, რომ მიმღები გარემო მნიშვნელოვნად იყოს დაზიანებული.</p>				
15.3	<p>ისეთი ჩაშვების შემთხვევაში, რომელიც შეესაბამება მე-6 მუხლში მოცემულ დებულებებს, აგრეთვე ნალექის ზედაპირულ წყლებში განთავსების შემთხვევაში წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ მონიტორინგი და სხვა შესაბამისი გამოკვლევები იმის შესამოწმებლად, რომ ჩაშვება ან განთავსება უარყოფითად არ ზემოქმედებს გარემოზე.</p>				
15.4	<p>ინფორმაცია, რომელიც შეგროვილია კომპეტენტური ან შესაბამისი ორგანოების მიერ 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესრულების მიზნით, უნდა ინახებოდეს წევრ სახელმწიფოებში და კომისიისათვის ხელმისაწვდომი გახდეს მათ მიღებაზე მოთხოვნის წარდგენიდან ექვსი თვის ვადაში.</p>				
15.5	<p>სახელმძღვანელოს მომზადება 1-ლ, მე-2 და მე-3 პუნქტებში აღწერილი მონიტორინგის თაობაზე შეიძლება ფორმულირებული იქნეს კომისიის მიერ მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი პროცედურის თანახმად.</p>				

16	<p>1990 წლის 7 ივნისის “გარემოს შესახებ ინფორმაციაზე თავისუფალი ხელმისაწვდომობის შესახებ” 90/313/EEC საბჭოს დირექტივის დებულებების განხორციელების არასაზიანოდ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ შესაბამისი ხელისუფლება ან ორგანოები აქვეყნებდნენ მდგომარეობის აღმწერ საანგარიშო მოხსენებას ურბანული ჩამდინარე წყლებისა და ნალექის საკუთარ არეალში (ტერიტორიაზე) განთავსების შესახებ. წევრმა სახელმწიფოებმა ეს საანგარიშო მოხსენებები მათი გამოქვეყნებისთანავე უნდა გადასცენ კომისიას.</p>				ას	<p>იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა</p>
17.1	<p>1993 წლის 31 დეკემბრისათვის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ დირექტივის განხორციელების პროგრამა.</p> <p>პირველი პუნქტისგან გამონაკლისის სახით მაყოტე რეგიონთან დაკავშირებით, საფრანგეთმა უნდა დაადგინოს ამ დირექტივის აღსრულების პროგრამა 2014 წლის 30 ივნისამდე.</p>				ას	<p>იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა</p>
17.2	<p>1994 წლის 30 ივნისისათვის წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას უნდა წარუდგინონ ინფორმაცია ამ პროგრამის შესახებ.</p> <p>პირველი პუნქტისგან გამონაკლისის სახით Mayotte რეგიონთან დაკავშირებით, საფრანგეთმა პროგრამასთან დაკავშირებული</p>					

17.3	<p>ინფორმაცია კომისიას უნდა მიაწოდოს 2014 წლის 31 დეკემბრამდე.</p> <p>წევრმა სახელმწიფოებმა, აუცილებლობის შემთხვევაში, კომისიას ყოველი მეორე წლის 30 ივნისისათვის უნდა წარუდგინონ განახლებული ინფორმაცია, როგორც ეს აღწერილია მე-2 პუნქტში.</p>				
17.4	<p>ეროვნული საანგარიშო მოხსენების შემუშავებისათვის დასადგენი საჭირო მეთოდები და ფორმატები, კომისიის მიერ უნდა დადგინდეს მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად აღწერილი პროცედურის თანახმად. ამ მეთოდებისა და ფორმატების ნებისმიერი შესწორებები მიღებულ უნდა იქნეს იგივე პროცედურის შესაბამისად (თანახმად).</p>				
17.5	<p>კომისიამ, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, უნდა განიხილოს და შეაფასოს მიღებული ინფორმაცია ზემოთ მოცემული მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად და გამოაქვეყნოს საანგარიშო მოხსენება ამის თაობაზე.</p>				
18.1	<p>კომისიას დახმარებას უწევს კომიტეტი.</p>				ას
18.2	<p>როდესაც მითითება კეთდება ამ პუნქტზე, გამოიყენება 1999/468/EC გადაწყვეტილების მე-5 და მე-7 მუხლები, ასევე მხედველობაში მიიღება მე-8 მუხლის დებულებები.</p>				<p>იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა</p>

18.3	1999/468/EC გადაწყვეტილების მე-5 მუხლის (6) პუნქტით დადგენილი პერიოდი უნდა განისაზღვროს 3 თვეში.  როდესაც მითითება კეთდება ამ პუნქტზე, გამოიყენება 1999/468/EC გადაწყვეტილების მე-5a მუხლის პირველიდან - მე-4-დე პუნქტები და მე-7 მუხლი, ასევე მხედველობაში ვიღებთ მე-8 მუხლის დებულებებს.					
19.1	არაუგვიანეს 1993 წლის 30 ივნისისა წევრმა სახელმწიფოებმა ძალაში უნდა შეიტანონ ის კანონები, მარეგულირებელი წესები და ადმინისტრაციული დებულებები, რომლებიც აუცილებელი არის დირექტივის შესასრულებლად. ამის შესახებ მათ წინასწარ უნდა აცნობონ კომისიას.				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა
19.2	როდესაც წევრი სახელმწიფოები აირჩევენ (შეარჩევენ) 1-ელ პუნქტში აღნიშნულ ზომებს, ისინი უნდა მიუთითებდნენ ამ დირექტივას ან ასეთი მითითება უნდა დაერთოს მათ, ოფიციალური გამოქვეყნების შემთხვევაში. ასეთი მითითების გაკეთების მეთოდები უნდა დადგინდეს წევრი სახელმწიფოების მიერ.					
19.3	წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას უნდა აცნობონ იმ ეროვნული კანონის მთავარი დებულებების ტექსტები, რომელსაც ისინი ამ დირექტივით მართულ დარგში (სფეროში) მიიღებენ.					
20	მოთხოვნილებები ურბანული ჩამდინარე წყლებისათვის.				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა

<p>დანართი I A</p>	<p>შემგროვებელი სისტემები</p> <p>შემგროვებელი სისტემები უნდა ითვალისწინებდნენ ჩამდინარე წყლების გაწმენდის მოთხოვნილებებს.</p> <p>შემგროვებელი სისტემების დაპროექტება, მშენებლობა და შენახვა უნდა განხორციელდეს საუკეთესო ტექნიკური ცოდნის შესაბამისად, რომელიც არ გამოიწვევს გადაჭარბებულ დანახარჯებს განსაკუთრებით შემდეგთან დაკავშირებით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ურბანული ჩამდინარე წყლების მოცულობა და დამახასიათებელი თვისებები,</li> <li>- გაჟონვის თავიდან აცილება,</li> <li>- სანიაღვრე წყლების დატბორვით გამოწვეული მიმღები წყლების დაბინძურების შეზღუდვა.</li> </ul> <p>B ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობებიდან მიმღებ წყლის ობიექტებში ჩაშვება.</p> <p>B.1 ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები ისე უნდა დაპროექტდეს ან განახლდეს, რომ შესაძლებელი იყოს როგორც შემავალი ჩამდინარე წყლის, ასევე გაწმენდილი გამომდინარე წყლის მიმღებ წყლებში</p>	<p>N1</p> <p>N1</p>	<p>30.1</p> <p>37.1. ა.კ</p>	<p>ურბანული ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვების ნორმები და ურბანული ჩამდინარე წყლებით ზემოქმედების რისკის ქვეშ მყოფი სენსიტიური არელების განსაზღვრის კრიტერიუმები განისაზღვრება ტექნიკური რეგლამენტით „ზედაპირული წყლის ობიექტებში ურბანული და სამრეწველო ჩამდინარე წყლების ჩაშვების პირობები“.</p> <p>1. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს შემდეგი სამართლებრივი აქტების მიღება:</p> <p>ა) 2023 წლის 31 დეკემბრამდე:</p> <p>ა.კ) ტექნიკური რეგლამენტი „ზედაპირული წყლის ობიექტებში ურბანული და სამრეწველო ჩამდინარე წყლების ჩაშვების პირობები“;</p>	<p>ნშ</p>	<p>ასოცირების შეთანხმების XXVI დანართის თანახმად, აღნიშნულ მუხლთან დაახლოვების ვადა არის 2021 წელი მაგრამ ვინაიდან აღნიშნული სამართლებრივი აქტის მიღების ვალდებულება განსაზღვრულია კანონპროექტით „წყლის რესურსების მართვის შესახებ“. შესაბამისად, „ზედაპირული წყლის ობიექტებში ურბანული და სამრეწველო ჩამდინარე წყლების ჩაშვების პირობები“; მიღებული იქნება კანონის მიღების შემდგომ, 2023 წლის 31 დეკემბრამდე.</p>
--------------------	---	---------------------	------------------------------	---	-----------	--

	<p>მოხვედრამდე წარმომადგენლობითი სინჯების აღება.</p>				
B.2	<p>ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობებიდან მიღებული ჩაშვებები, რომლებიც ექვემდებარებიან მე-4 და მე-5 მუხლებში აღწერილ გაწმენდას, უნდა პასუხობდნენ 1-ლ ცხრილში მოცემულ მოთხოვნილებებს.</p>				
B.3	<p>ჩაშვებები ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობებიდან იმ მგრძობიარე არეალებში, რომლებიც ევთროფიკაციას ექვემდებარებიან, როგორც ეს განსაზღვრულია დანართის II A(a) ნაწილში, დამატებით უნდა პასუხობდნენ ამ დანართის მე-2 ცხრილში მოცემულ მოთხოვნილებებს.</p>				
B.4	<p>1-ლ ცხრილში და/ან მე-2 ცხრილში მოცემულ მოთხოვნილებებზე უფრო მკაცრი მოთხოვნილებები უნდა გამოყენებული იქნეს მაშინ, როდესაც არსებობს მოთხოვნა, რომ მიმღები წყლები აკმაყოფილებდნენ რომელიმე სხვა შესაბამის დირექტივას.</p>				
B.5	<p>ურბანული ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილები უნდა შეირჩეს რაც შეიძლება შორს, ისე რომ მინიმუმამდე დადიოდეს მიმღებ წყლებზე ზემოქმედება.</p>				

C	<p>სამრეწველო ჩამდინარე წყლები</p> <p>შემგროვებელ სისტემასა და ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობებში შემავალი სამრეწველო ჩამდინარე წყლები უნდა ემორჩილებოდნენ ისეთ წინასწარ გაწმენდას, როგორც საჭიროა იმისათვის, რომ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- დაცული იყოს შემგროვებელ სისტემებში და გამწმენდ ნაგებობაზე მომუშავე პერსონალის ჯანმრთელობა,</li> <li>- უზრუნველყოფილ იქნას ის, რომ არ დაზიანდეს შემგროვებელი სისტემები, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები და შესაბამისი აღჭურვილობა,</li> <li>- უზრუნველყოფილ იქნას ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების შეუფერხებელი მუშაობა და ნალექის გაწმენდა,</li> <li>- ჩაშვებებმა გამწმენდი ნაგებობებიდან უარყოფითი ზეგავლენა არ მოახდინონ გარემოზე, ან არ მოხდეს ისე, რომ ხელი შეეშალოს იმას, რომ მიმღები წყლები პასუხობდნენ გაერთიანების სხვა დირექტივებს,</li> <li>- უზრუნველყოფილი იყოს ნალექის უსაფრთხო განთავსება გარემოსათვის მისაღები გზით,</li> </ul>				
---	---	--	--	--	--

D	შედეგების მონიტორინგისა და შეფასების გამოსაყენებელი მეთოდები				
D.1	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მონიტორინგის ისეთი მეთოდის გამოყენება, რომელიც, სულ ცოტა, ქვემოთ აღწერილი მოთხოვნილებების დონეს შეესატყვისება.</p> <p>მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებში აღნიშნული მეთოდების ალტერნატიული მეთოდების გამოყენება მხოლოდ იმ პირობით შეიძლება, თუ შესაძლებელი იქნება იმის დამტკიცება, რომ მიღწეულია ტოლფასი შედეგები.</p> <p>წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას უნდა მიაწოდონ ყველა შესაბამისი ინფორმაცია გამოყენებულ მეთოდთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ კომისია ჩათვლის, რომ მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებში დადგენილი პირობები არ სრულდება, იგი საბჭოს წარუდგენს შესატყვის წინადადებას.</p>				
D.2	<p>ამ დირექტივით დადგენილი ჩამდინარე წყლების ჩაშვებებზე მოთხოვნილებების შესრულების მონიტორინგისათვის, 24 საათის (მთელი დღე-ღამის) განმავლობაში, გამწმენდი ნაგებობის გამოსასვლელთან და, საჭიროების შემთხვევაში შესასვლელთან, ერთ მკაცრად დადგენილ წერტილში უნდა გროვდებოდეს ნიმუშები ნაკადის პროპორციულად ან დროში განაწილებულად.</p>				

D.3	<p>შეგროვებასა და ანალიზს შორის ნიმუშების გაფუჭების მინიმალურ დონეზე დაყვანის მიზნით საჭიროა კარგი საერთაშორისო ლაბორატორიული პრაქტიკის გამოყენება.</p>							
	<p>ნიმუშების წლიური მინიმალური რაოდენობა უნდა განისაზღვროს გამწმენდი ნაგებობის სიდიდიდან გამომდინარე და წლის განმავლობაში რეგულარული ინტერვალებით უნდა შეგროვდეს</p>							
	<table border="1"> <tr> <td data-bbox="199 507 495 1321"> <p>-2 000-დან 9 999-მდე პ.ე.</p> </td> <td data-bbox="495 507 786 1321"> <p>12 ნიმუში პირველი წლის განმავლობაში. ოთხი ნიმუში შემდეგი წლების განმავლობაში, იმ შემთხვევაში თუ ანალიზი აჩვენებს, რომ წყალი პირველი წლის განმავლობაში შეესაბამება დირექტივის დებულებებს; თუ ოთხიდან ერთი ნიმუშიც კი არ დააკმაყოფილებს პირობებს, მეორე წელს 12 ნიმუში უნდა იყოს აღებული.</p> </td> </tr> <tr> <td data-bbox="199 1321 495 1399"> <p>-10 000-დან 49 999-მდე პ.ე.</p> </td> <td data-bbox="495 1321 786 1399"> <p>12 ნიმუში</p> </td> </tr> </table>	<p>-2 000-დან 9 999-მდე პ.ე.</p>	<p>12 ნიმუში პირველი წლის განმავლობაში. ოთხი ნიმუში შემდეგი წლების განმავლობაში, იმ შემთხვევაში თუ ანალიზი აჩვენებს, რომ წყალი პირველი წლის განმავლობაში შეესაბამება დირექტივის დებულებებს; თუ ოთხიდან ერთი ნიმუშიც კი არ დააკმაყოფილებს პირობებს, მეორე წელს 12 ნიმუში უნდა იყოს აღებული.</p>	<p>-10 000-დან 49 999-მდე პ.ე.</p>	<p>12 ნიმუში</p>			
<p>-2 000-დან 9 999-მდე პ.ე.</p>	<p>12 ნიმუში პირველი წლის განმავლობაში. ოთხი ნიმუში შემდეგი წლების განმავლობაში, იმ შემთხვევაში თუ ანალიზი აჩვენებს, რომ წყალი პირველი წლის განმავლობაში შეესაბამება დირექტივის დებულებებს; თუ ოთხიდან ერთი ნიმუშიც კი არ დააკმაყოფილებს პირობებს, მეორე წელს 12 ნიმუში უნდა იყოს აღებული.</p>							
<p>-10 000-დან 49 999-მდე პ.ე.</p>	<p>12 ნიმუში</p>							

D.4	<p>უნდა ივარაუდებოდეს, რომ გაწმენდილი ჩამდინარე წყალი პასუხობს შესაბამის პარამეტრებს იმ შემთხვევაში თუ, თითოეული ცალ-ცალკე განხილული შესაბამისი პარამეტრისათვის წყლის ნიმუშები აჩვენებენ, რომ ის შესაბამისი პარამეტრის სიდიდეს შემდეგნაირად შეესაბამება:</p> <p>(a) 1-ლ ცხრილში და მე-2 მუხლის მე-7 პუნქტში დადგენილი პარამეტრებისათვის, იმ ნიმუშების მაქსიმალური რაოდენობა, რომლებიც დასაშვებია, რომ არ პასუხობდნენ მოთხოვნებს და გამოხატულია 1-ლ ცხრილსა და მე-2 მუხლის მე-7 პუნქტში კონცენტრაციების და/ან პროცენტული შემცირების სახით, დადგენილია მე-3 ცხრილში.</p> <p>(b) 1-ლ ცხრილში კონცენტრაციებში გამოხატული პარამეტრებისათვის, ნიმუშები, რომლებიც არ პასუხობენ მოთხოვნებს მაგრამ აღებულია ნორმალურ ოპერაციულ (სამუშაო) პირობებში, არ უნდა იხრებოდეს დადგენილი პარამეტრის სიდიდისგან 100%-ზე მეტით. პარამეტრის სიდიდეებისათვის კონცენტრაციაში, რომელიც ეხება სრულ შეწონილ ნაწილაკებს, მისაღებია 150%-მდე გადახრა.</p>					

<p>D.5</p> <p>ცხრილი 1:</p>	<p>(c) იმ პარამეტრებისათვის, რომლებიც დადგენილია მე-2 ცხრილში, ნიმუშების საშუალო წლიური, თითოეული პარამეტრისათვის, უნდა შეესაბამებოდეს პარამეტრის შესაბამის სიდიდეს.</p> <p>მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული უკიდურესი სიდიდეები მოცემული წყლის ხარისხისათვის, როდესაც ისინი განსაკუთრებული სიტუაციის, მაგალითად ძლიერი წვიმის, შედეგს წარმოადგენენ.</p> <p>მოთხოვნები ჩაშვებებისათვის ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობებიდან, რომლებიც ექვემდებარებიან დირექტივის მე-4 და მე-5 მუხლებს. უნდა გამოყენებული იქნეს კონცენტრაციის ან შემცირების პროცენტული სიდიდეები (მნიშვნელობები)</p> <table border="1" data-bbox="203 890 801 1319"> <thead> <tr> <th data-bbox="203 890 331 1177">პარამეტრები</th> <th data-bbox="331 890 461 1177">კონცენტრაცია</th> <th data-bbox="461 890 591 1177">შემცირების მინიმალური პროცენტული შეფარდება<sup>1</sup></th> <th data-bbox="591 890 801 1177">გაზომვის მეთოდი</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td data-bbox="203 1177 331 1319">ჟანგბადის ბიოქიმიური</td> <td data-bbox="331 1177 461 1319">25 მგ/ლ O<sub>2</sub></td> <td data-bbox="461 1177 591 1319">70-90 40 მე-4 მუხლის</td> <td data-bbox="591 1177 801 1319">ჰომოგენური, გაუფილტრავი, გაუწურავი (სხვა</td> </tr> </tbody> </table>	პარამეტრები	კონცენტრაცია	შემცირების მინიმალური პროცენტული შეფარდება <sup>1</sup>	გაზომვის მეთოდი	ჟანგბადის ბიოქიმიური	25 მგ/ლ O <sub>2</sub>	70-90 40 მე-4 მუხლის	ჰომოგენური, გაუფილტრავი, გაუწურავი (სხვა				
პარამეტრები	კონცენტრაცია	შემცირების მინიმალური პროცენტული შეფარდება <sup>1</sup>	გაზომვის მეთოდი										
ჟანგბადის ბიოქიმიური	25 მგ/ლ O <sub>2</sub>	70-90 40 მე-4 მუხლის	ჰომოგენური, გაუფილტრავი, გაუწურავი (სხვა										

<sup>1</sup> შემცირება გავლენის დატვირთვასთან დაკავშირებით.

მოთხოვნილება (BOD5 20°C) ნიტრიფიკაციის გარეშე <sup>2</sup>		მე-2 პუნქტის თანახმად	ჭურჭელში გადაუსხმელი) ნიმუში. გახსნილი ჟანგბადის განსაზღვრა 5დღიან ინკუბაციამდე და მის შემდეგ 20°C ± 1°C და სრული სიბნელის პირობებში. ნიტრიფიკაციის შემჩერების დამატება.					
ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნილება (COD)	125 მგ/ლ O <sub>2</sub>	75	ჰომოგენური, გაუფილტრავი, გაუწურავი ნიმუში. კალიუმის ბიქრომატი					
შეწონილი ნაწილაკები	35 მგ/ლ <sup>3</sup> 35 მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად (10	90 <sup>3</sup> 90 მე-4 მე-2 მუხლის თანახმად (10 000 .ე-ზე მეტი)	– წარმომადგენლობითი ნიმუშის გაფილტვრა 0.45 ჰმ ფილტრის მეშვეობით. 105 <sup>0</sup> C -ზე გაშრობა და					

<sup>2</sup> პარამეტრი შეიძლება შეიცვალოს სხვა პარამეტრით: მთლიანი ორგანული ნახშირბადის (TOC) ან ჟანგბადის მთლიანი მოთხოვნილება (TOD) თუ შეიძლება ურთიერთობა დამყარდეს BOD5-სა და შემცველ პარამეტრს შორის.

<sup>3</sup> ეს მოთხოვნა არჩევითია.

	000-პ.ე. მეტი)	70 მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ს თანახმა დ (2 000დან 10000-მდე პ.ე.)	აწონვა. - წარმომადგენლობითი ნიმუშის ცენტრიფუგირება (სულ ცოტა ხუთი წუთით საშუალო დაჩქარებით 2 800 დან 3 200 გ-მდე), 105°C - ზე გამრობა და აწონვა.					
ცხრილი 2:	<p>ანალიზები, რომლებიც შეეხება ჩაშვებებს ლაგუნებიდან უნდა განხორციელდეს გაფილტრულ ნიმუშებზე; თუმცა, მთლიანი შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაციები გაუფილტრავ წყლის ნიმუშებში არ უნდა აჭარბებდეს 150 მგ/ლ.</p> <p>მოთხოვნები ჩაშვებებზე ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობებიდან მგრძნობიარე არეალებში, რომლებიც ეუთროფიკაციას ექვემდებარება, როგორც ეს განსაზღვრულია II დანართის A(a) ნაწილში. ადგილობრივი მდგომარეობიდან</p>							

<p>გამომდინარე, შესაძლოა ერთი ან ორი პარამეტრის გამოყენება. საჭიროა კონცენტრაციების, ან შემცირების პროცენტული შეფარდების სიდიდის გამოყენება.</p>			
პარამეტრები	კონცენტრაცია	შემცირების მინიმალური პროცენტული შეფარდება <sup>4</sup>	გაზომვის მეთოდი
საერთო ფოსფორი	2 მგ/ლ (10 000-100 000 პ.ე.)  1 მგ/ლ (100 000 პ.ე.-ზე მეტი)	80	მოლეკულის შთანთქმის სპექტროფოტომეტრია
საერთო აზოტი <sup>5</sup>	15 მგ/ლ (10 000 - 100 000 პ.ე.)  10 მგ/ლ (100 000	70-80	მოლეკულის შთანთქმის სპექტროფოტომეტრია

<sup>4</sup> შემცირება გავლენის დატვირთვასთან დაკავშირებით.

<sup>5</sup> მთლიანი აზოტი ნიშნავს კველდალის მთლიანი აზოტის (ორგანული და ამონიუმის აზოტი) ნიტრა – აზოტის ჯამს და ნიტრიტი-აზოტი.

ცხრილი 3	პ.ე.-ზე მეტი <sup>6</sup>						
	ნებისმიერი ერთი წლის განმავლობაში აღებული სინჯები	იმ სინჯების მაქსიმალური რაოდენობა, რომლებიც დასაშვებია, რომ მოთხოვნებს არ პასუხობდნენ					
	4-7	1					
	8-16	2					
	17-28	3					
	29-40	4					
	41-53	5					
	54-67	6					
	68-81	7					
	82-95	8					

<sup>6</sup> კონცენტრაციის ეს ფასეულობები არის წლიური საშუალებები, როგორც ეს მოცემულია I დანართის, D ნაწილის 4 პუნქტი (c) ქვეპუნქტში. ამასთან, აზოტის მოთხოვნების შემოწმება შესაძლებელია ყოველდღიური საშუალების გამოყენებით, როდესაც დადასტურებულია, I დანართის D ნაწილის 1-ლი პუნქტის თანახმად, დაცვის იგივე დონე მიიღება. ამ შემთხვევაში, დღიური საშუალო არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი აზოტის 20 მგ/ლ-ს ყველა ნიმუშისთვის, როდესაც ბიოლოგიურ რეაქტორში ჩამდინარე წყლიდან ტემპერატურა აღემატება ან უდრის 12 ° C- ს. ტემპერატურასთან დაკავშირებული პირობები შეიძლება შეიცვალოს შეზღუდვით, ექსპლუატაციის დროს, რეგიონალური კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

	96-110	9					
	111-125	10					
	126-140	11					
	141-155	12					
	156-171	13					
	172-187	14					
	188-203	15					
	204-219	16					
	220-235	17					
	236-251	18					
	252-268	19					
	269-284	20					
	285-300	21					
	301-317	22					
	318-334	23					
	335-350	24					

	351-365	25					
დანართი II A	<p>მგრძნობიარე და ნაკლებად მგრძნობიარე არეალების დადგენის კრიტერიუმები</p> <p>მგრძნობიარე არეალები</p> <p>წყლის ობიექტი უნდა განისაზღვროს, როგორც სენსიტიური (მგრძნობიარე) არეალი, თუ იგი ერთ-ერთ შემდეგ ჯგუფში შედის:</p> <p>(a) ბუნებრივი მტკნარწყლიანი ტბები, სხვა მტკნარწყლიანი ობიექტები, ესტუარები და სანაპირო წყლები, რომლებიც ევთროფიცირებულია, ან განუხორციელებული დაცვითი ჰმედებების გამო, შესაძლოა ახლო მომავალში გახდეს ეუთროფიცირებული.</p> <p>როდესაც განიხილავენ იმას, თუ რომელი ნუტრიენტი (საკვები ნივთიერება) უნდა შემცირდეს შემდგომი გაწმენდის გზით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი ელემენტები:</p> <p>(i) ტბები და წყალსადინარები, რომლებიც ჩაედინებიან ტბებში/წყალსაცავებში/ჩაკეტილ ყურეებში, რომლებიც ხასიათდებიან წყლის ცუდი გაცვლით, რის გამოც შესაძლოა მოხდეს</p>	N1	30.1	<p>ურბანული ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვების ნორმები და ურბანული ჩამდინარე წყლებით ზემოქმედების რისკის ქვეშ მყოფი სენსიტიური არეალების განსაზღვრის კრიტერიუმები განისაზღვრება ტექნიკური რეგლამენტით „ზედაპირული წყლის ობიექტებში ურბანული და სამრეწველო ჩამდინარე წყლების ჩაშვების პირობები“.</p> <p>2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა:</p> <p>ბ) 2024 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოს:</p> <p>ბ.ბ) ურბანული ჩამდინარე წყლებით ზემოქმედების რისკის ქვეშ მყოფი სენსიტიური არეალებისა და აგლომერაციების იდენტიფიცირება.</p>	ნშ	<p>ასოცირების შეთანხმების XXVI დანართის თანახმად, აღნიშნულ მუხლთან დაახლოვების ვადა არის 2021 წელი მაგრამ ვინაიდან აღნიშნული სამართლებრივი აქტის მიღების ვალდებულება განსაზღვრულია კანონპროექტით „წყლის რესურსების მართვის შესახებ“. შესაბამისად, „ზედაპირული წყლის ობიექტებში ურბანული და სამრეწველო ჩამდინარე წყლების ჩაშვების პირობები“; მიღებულ იქნება კანონის მიღების შემდგომ, 2024 წლის 31 სექტემბრამდე.</p>	
			N1	37.2. ბ.ბ			

<p>აკუმულირება. ამ არეალებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფოსფორის მოშორება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეიძლება იმის ჩვენება, რომ მისი მოშორება ვერ მოახდენს გავლენას ეუთროფიკაციის დონეზე. დიდი აგლომერაციებიდან ჩაშვებების შემთხვევაში, ასევე შეიძლება განხილულ (გათვალისწინებული) იქნეს აზოტის მოშორება;</p> <p>(ii) ესტუარები, ყურეები და სხვა სანაპირო წყლები, რომლებიც წყლის ცუდი გაცვლით ხასიათდებიან, ან რომლებშიც აზოტის დიდი რაოდენობა ხვდება. ამ არეალებში ჩაშვებები პატარა აგლომერაციებიდან ჩვეულებრივ მნიშვნელოვანი არ არის, მაგრამ დიდი აგლომერაციებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს ფოსფორის და/ან აზოტის მოშორება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეიძლება იმის ჩვენება, რომ მისი მოშორება ვერ მოახდენს გავლენას ეუთროფიკაციის დონეზე;</p> <p>(b) სასმელი წყლის ამოღებისათვის გამიზნული ზედაპირული წყლები, რომლებიც შეიძლება შეიცავდეს აზოტის კონცენტრაციას, რომელიც აჭარბებს 1975 წლის 16 ივნისის 75/440/EEC საბჭოს დირექტივის შესაბამის დებულებებში დადგენილ კონცენტრაციებს, რომლებიც ეხება მოთხოვნილებებს იმ ზედაპირული წყლების ხარისხზე, რომლებიც გამიზნულია წევრ სახელმწიფოებში სასმელი</p>				
---	--	--	--	--

B	<p>წყლის მოსაპოვებლად, თუ არ ხორციელდება შესაბამისი ზომები.</p> <p>(c) არეალები, სადაც, საბჭოს დირექტივების განხორციელების მიზნით, საჭიროებს შემდგომ გაწმენდას, გარდა იმისა, რომლებიც აღწერილია ამ დირექტივის მე-4 მუხლში.</p> <p>ნაკლებად მგრძობიარე არეალები</p> <p>ზღვის წყლის ობიექტი ან არეალი შეიძლება განსაზღვრული იქნას, როგორც ნაკლებად მგრძობიარე იმ შემთხვევაში, თუ ჩამდინარე წყლის ჩაშვება უარყოფითად არ მოქმედებს გარემოზე ამ არეალში არსებული მორფოლოგიური, ჰიდროლოგიური ან განსაკუთრებული ჰიდრაულიკური პირობების შედეგად.</p> <p>ნაკლებად მგრძობიარე არეალების განსაზღვრისას წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ის რისკი, რომელიც ჩაშვებულმა ტვირთმა (დატვირთვამ) შესაძლოა მომიჯნავე არეალებში გადაიტანოს, სადაც ამას შესაძლოა გარემოზე მავნე ზემოქმედება მოჰყვეს. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ მათი ეროვნული იურისდიქციის ფარგლებს გარეთ მგრძობიარე (სენსიტიური) არეალების არსებობა.</p> <p>ნაკლებად მგრძობიარე არეალების დადგენისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი ელემენტები:</p>				
---	---	--	--	--	--

	<p>ღია ყურეები, ესტუარები და სხვა სანაპირო წყლები წყლის კარგი გაცვლის უნარით, რომლებშიც ადგილი არ აქვს ეუთროფიკაციას ან ჟანგბადის დაშლას, ან რომლებაც არ არის მოსალოდნელი, რომ განიცადონ ეუთროფირება ან მათში ჟანგბადის დაშლის პროცესის განვითარება მათში ურბანული ჩამდინარე წყლების ჩაშვების გამო.</p>					
დანართი III	სამრეწველო სექტორები				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა
1	რძის გადამამუშავება					
2	ხილისა და ბოსტნეულის პროდუქტის წარმოება					
3	უალკოჰოლო სასმელების წარმოება და ბოთლებში მოხუფვა					
4	კარტოფილის გადამამუშავება					
5	ხორცის წარმოება					
6	ლუდის ქარხნები					
7	ალკოჰოლისა და ალკოჰოლური სასმელების წარმოება					

8	ცხოველური საკვების დამზადება (წარმოება) მცენარეული პროდუქტისგან					
9	ტყავის, კანისა და ძვლებისაგან ჟელატინისა და წებოს დამზადება (წარმოება)					
10	ალაოს ქარხანა					
11	თევზის გადამამუშავებელი მრეწველობა					